საქართველოს დამფუძნებელი კრება და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია

პაატა სურგულაძე

საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე საქართველოს დამფუძნებელი კრების მთავარ საზრუნავს „პირველი რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი წარმოადგენდა.

ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციას. იგი საფრანგეთის დედაქალაქში 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 19 იანვრამდე მიმდინარეობდა. ეს იყო პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა შეკრება, რომელსაც დამარცხებულ ქვეყნებთან სამშვიდობო შეთანხმებანი უნდა შეემუშავებინა.

პარიზის საზავო კონფერენციას საქართველოს პირველი რესპუბლიკის ტერიტორიული საზღვრების და მისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისა და ცნობის საკითხიც უნდა გადაეწყვიტა. ამ მიზნით საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 17 ნოემბერს დაადგინა: „ევროპაში პროპაგანდისათვის და კონგრესზე (იგულისხმება პარიზის სამშვიდობო კონფერენცია - პ.ს.) დასწრებისათვის გაიგზავნოს დელეგაცია კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძის, ნოე რამიშვილის, ნიკო ნიკოლაძის, გრიგოლ რცხილაძის და სპირიდონ კედიას შემადგენლობით. ნოე რამიშვილის წაუსვლელობის შემთხვევაში, მის მაგივრად ეს მისია დაეკისროს ირაკლი წერეთელს (1, 160).

საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა პარიზის კონფერენციაზე საქართველოს ოფიციალური დელეგაციის მოქმედების გეგმა.

ამ სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ იმ ეტაპზე, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის, სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს ოფიციალურ დე-

ლეგაციას შემდგომი პრინციპებითა და დირექტივებით უნდა ეხელმძღვანელა:

1. „თუ მოხდა ისე, რომ მოკავშირეებმა მიზნად დაისახეს რუსეთის ძველ ფარგლებში აღდგენა, მაშინ დელეგაცია ამის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო. მთავრობას მიაჩნდა, რომ საქართველოს ნაძალადევად შეყვანა „ხელოვნურად აღდგენილ რუსეთში ჩვენს გასრესას მოასწავებდა: ერთის მხრივ, ბოლშევიკებისა და მეორეს მხრივ, რესპუბლიკელების მიერ“ (2, 382).

პირველი რესპუბლიკის მთავრობა უდაოდ სწორ პოზიციაზე იდგა. საქართველოს უკვე გამოცხადებული ჰქონდა თავისი დამოუკიდებლობა და მისი კვლავ რუსეთის ფარგლებში მოქცევა ქართველი ხალხის ნების გამოხატულების წინააღმდეგ წასვლასა და ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას ნიშნავდა.

2. მეორე დირექტივა იყო ის, რომ საქართველოს მთავრობა არ გამოდიოდა სამხრეთ კავკასიის კონფედერაციის წინააღმდეგ. მას მიაჩნდა, რომ ამ რეგიონის სახელმწიფოებს თვითონ უნდა მოეპოვებინათ რეალური დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მათი თანასწორუფლებიანი შეკავშირება ერთ კონფედერალურ სახელმწიფოს ერთეულში: „თუ მოკავშირეებს დასჭირდათ ეკონომიკური მიზნით ბათუმ-ბაქოს რკინიგზა ისე, რომ იგი საბაჟოებით არ იყოს დაყოფილი, ამის წინააღმდეგ საქართველოს არაფერი ექნებოდა“, წერია მთავრობის სამოქმედო გეგმაში (2, 386).

3. მესამე დირექტივა სომხეთს ეხებოდა. პირველი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ სომხეთთან დაახლოება საქართველოსთვის საშური საქმე იყო. აქ აქცენტი იმაზე კეთდებოდა, რომ ეს ორი მეზობელი ქვეყანა ქრისტიანული სახელმწიფოები იყნენ, რაც იმხანად დიდი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენდა. „თუ ჩვენ ორი საქრისტიანო ერი, ვერ შევთანხმდით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ საქართველო ვერ შესძლებს საკუთარ არსებობას“. საერთოდ, სტრატეგიულად საქართველოს მიზანი უნდა ყო-

ფილიყო ორი სომხეთის - „ოსმალეთისა“ და „რუსეთის სომხეთის“ შეერთება. ამავე დროს საქართველო სომხეთს შავი ზღვისაკენ გასასვლელის პოვნაში უნდა დახმარებოდა. მთავრობის აზრით, ამ შემთხვევაში, „სომხეთი აღარ მოაწვება საქართველოს, და ადვილად გადაწყდება სომხეთ-ქართველთა გამწვავებული ურთიერთობა“ (2, 386). სომხეთის ინტერესებზე და მათ ქმედებებზე პარიზის საზავო კონფერენციაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საქართველოს მთავრობის წინათგრძნობა, რომ „სომხებმა, შეიძლება კონფერენციაზე ფარული დიპლომატიური გზებით ისარგებლონ“, მართებული აღმოჩნდა. სამწუხაროდ, სომხეთის დელეგაციის მცდელობანი, - გამოეყენებინა ფარული დიპლომატია სომხეთის რესპუბლიკის ამბიციური მიზნების მისაღწევად, საქართველოსათვის დიდი ზიანის მომტანი იყო.

3. მთავრობის დირექტივების შემდეგი, მე-4 პუნქტი აზერბაიჯანს შეეხებოდა. ვინაიდან აზერბაიჯანლები თავს თურქებად თვლიდნენ და ოსმალეთში შესვლას ლამობდნენ, მასთან ურთიერთობა საფრთხილო იყო. ეს აშკარად უპირისპირდებოდა საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებს და ამიტომ ჩვენთვის საშიშროებას წარმოადგენდა. თავის მხრივ თურქეთიც მიისწრაფვოდა აზერბაიჯანისაკენ. ამას თავისი გეოპოლიტიკური მიზეზებიც ჰქონდა: 1. პირველი ის, რომ თურქეთი ნელ-ნელა იდევნებოდა ევროპიდან. 2. იგი სამუდამოდ კარგავდა სირიას, პალესტინას, მესოპოტამიას. ვინაიდან ჩვენ დელეგაციას საზავო კონფერენციაზე საერთო ჯამში თურქეთის წინააღმდეგ გამოსვლა მოუწევდა, აქედან ლოგიკურად გამომდინარე, „ვერც აზერბაიჯანთან ვიქნებით დაკავშირებული საერთო ინტერესით“, - აღნიშნული იყო სამთავრობო დირექტივაში (2, 386).

4. დირექტივის მეხუთე პუნქტი საქართველოსათვის მეტად მტკივნეულ და მნიშვნელოვან პრობლემას - „სამუსლიმანო საქართველოს“ ეხებოდა. „სამშვიდობო კონგრესზე დელეგაცია უნდა ეცადოს სამაჰმადიანო საქართველოს საკითხის დაყენებას და მის ჩვენდა სასურველად გადაჭრას“ - აღნიშნული იყო მასში.

5. დირექტივების მე-6 პუნქტი პირდაპირ მიუთითებდა, რომ საქართველომ უნდა ეძიოს გზები მცირერიცხოვან ერთა გაერთიანების შექმნისა და მასში შესვლისათვის. სწორედ მასთან ერთად უნდა გამოვიდეს საქართველო სამოქმედოდ საზავო კონფერენციაზე, რა თქმა უნდა, თავისი ინტერესების გათვალისწინებით.

6. მეშვიდე პუნქტში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს დელეგაცია არ უნდა შეეშინებინა ვალს, რა თქმა უნდა, თუ ასეთი დაედებოდა ჩვენს ქვეყანას. ქვეყნის მთავრობას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ თავისუფლება ბევრ, მათ შორის მატერიალურ გასავალსაც ითხოვდა. ამასთან, მთავრობის წევრებს ისიც ესმოდათ, რომ საერთაშორისო თანაცხოვრებაში აუცილებელი იყო გადაწყვეტილებების, მათ შორის ვალების უპირობო შესრულება. „რაც დაგვედება, უნდა გადავიხადოთ, რომ დამოუკიდებლად იქნეს განმტკიცებული საქართველოს რესპუბლიკ“ (2, 386).

7. დირექტივათა მერვე და საბოლოო პუნქტი დელეგაციას გარკვეული მანევრირების საშუალებას აძლევდა. საქართველოს მთავრობამ იცოდა, რომ ამ კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი ადვილად ვერ გადაწყდებოდა. შეიძლებოდა დღის წესრიგში დამდგარიყო საერთოდ სამხრეთ კავკასიის და მასში შემავალი ქვეყნების მიმართ ცალ-ცალკე, რომელიმე ძლიერი ევროპული სახელმწიფოს პროტექტორატის ანუ „მანდატის“ საკითხი.

ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის ძალზედ გაჭიანურების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა დელეგაციას ნებას აძლევდა დათმობაზე მხოლოდ ერთი პირობით წასულიყო - თუ საქართველოზე პროტექტორატს მხოლოდ რომელიმე ევროპული სახელმწიფო გამოაცხადებდა. „თუ დამოუკიდებლობის საკითხი ძალიან გამწვავდა და არას გზით არ ცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, იმ შემთხვევაში, დელეგაციას ნება ეძლევა დაუთმოს, მხოლოდ ერთი განსაზღვრით: თუ იქნება პროტექტორატი, - მხოლოდ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოთა“ (2, 386).

საქართველოს დელეგაცია პარიზში სათანადო დონეზე წარსადგომად სერიოზულად ემზადებოდა. დელეგაცია ბევრს ბჭობდა თუ რა მასალები წაეღოთ ევროპაში ამა თუ იმ მოთხოვნის გასამყარებლად. ამას მოწმობს 1918 წლის 20 ნოემბერს შემდგარი დელეგაციის თათბრის ოქმი. თათბირი პარლამენტის თავმჯდომარის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის მიერ იყო მოწვეული. შეკრების მიზანი იყო, „გამოერკვიათ თუ რა მასალებია საჭირო და რა საკითხების შესახებ“ (1, 163).

დელეგაციის ხელმძღვანელის, კარლო ჩხეიძის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პარიზში წასაღებ მასალებს შრის, მაინც ქვეყნის ხარჯთაღრიცხვა, იგივე ბიუჯეტი იყო. „რომ გვკითხონ, როგორია ჩვენი ხარჯთაღრიცხვა, ვერაფერს ვეტყვით, გასამართლებელი საბუთი არ გვქენება. ამიტომ ბ-ნ ჟურულს ვთხოვდი უეჭველად დაამზადებინოს დაახლოებითი ხარჯთაღრიცხვა“, - აღნიშნავდა დელეგაციის ხელმძღვანელი (1, 172).

გარდა ამისა, დელეგაციის სხდომაზე სხვა საჭირო მასალების შეგროვებაც გადაწყდა, აქცენტი უფრო ეკონომიკურ მონაცემებზე, კერძოდ, გადასახადებზე, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებზე, საქართველოში რუსეთის დარჩენილ ქონებაზე, რუსეთისა და საქართველოს ფინანსურ ურთიერთობაზე კეთდებოდა. ასევე იყო სტატისტიკური მონაცემები, თუ რას ხარჯავდა რუსეთი საქართველოზე, რამდენად იყო საქართველო რუსეთისთვის ტვირთი და სხვ.

ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ გადაწყდა, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს ოფიციალური დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით გამგზავრებულიყო:

1. ნ. ჩხეიძე – თავმჯდომარე
2. ი. წერეთელი - დელეგატი
3. გ. რცხილაძე - დელეგატი
4. ნ. ჯაყელი - მოთათბირე
5. პროფ. ი. ჯავახიშვილი - მოთათბირე
6. გენერ. ი. ოდიშელიძე - მოთათბირე

7. ვლ. მგელაძე - სეკრეტარიატი (სამდივნო)
8. ვახ. ღამბაშიძე - სეკრეტარიატი (სამდივნო)
9. ბ. ბაბე - სეკრეტარიატი (სამდივნო)
10. ივ. ზურაბიშვილი - სეკრეტარიატი (სამდივნო)
11. ი. გოგოლაშვილი - სეკრეტარიატი (სამდივნო)
12. ა. დეკანოზიშვილი
13. ე. წერეთელი
14. დ. ბარამიძე - თავმჯდომარის პირადი მდივანი
15. ი. ნაკაშიძე - საინფორმაციო ნაწილი
16. გ. რობაქიძე - საინფორმაციო ნაწილი
17. ა. გვათუა - სამეურნეო ნაწილის გამგის თანაშემწე
18. ნაზარაშვილი - საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე
19. წვერავა - რადიოს სპეციალისტი (1, 127).

ბერლინში იმედგაცრუების შემდეგ უკეთესი მომავლის რწმენითა და მოლოდინით საქართველოს დელეგაციამ საფრანგეთის დედაქალაქს მიაშურა.

ქართველებს წინ დიდი გზა ედოთ. 1919 წლის 12 იანვარს რვა კაცისაგან შემდგარი დელეგაცია სტამბოლში ჩავიდა. აქ მათ დარჩენა ერთ თვეზე მეტი მოუხდათ. უმაღლესი დონის საერთაშორისო სამიტზე მონაწილეობის უფლება მხოლოდ დელეგაციის ხელმძღვანელს ნიკოლოზ ჩხეიძეს, ირაკლი წერეთელსა და ზურაბ ავალიშვილს მისცეს (3, 143).

საქართველოს დელეგაციას პარიზში მუშაობა საკმაოდ ხანგრძლივად მოუწია. იგი საფრანგეთის დედაქალაქში 1919 წლის მარტიდან მომდევნო 1920 წლის ბოლომდე დარჩა.

ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ დამფუძნებელი კრების მოწვევა დააჩქარა, რათა „საერთაშორისო კონფერენციაზე წარვმდგარიყავით ყოველმხრივ შეიარაღებული და დაგვეცვა იქ ჩვენი ერისა და მშრომელი ხალხის ინტერესები და უფლებები“~ (4).M

მიუხედავად დელეგაციის არა ერთი მცდელობისა, არსებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, კონფერენციაზე საქართველოსათვის რაიმე სერიოზული და სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღება ვერ ხერხდებოდა. შესაბამისად, დამფუძნებელ კრებაში ამ საკითხების ცალკე განხილვის საჭიროებაც არ დამდგარა, თუმცა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატები ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ჩვენი დელეგაციის საქმიანობას საფრანგეთში. მართალია, ჯგუფს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა, მაგრამ იგი არ იყო სუფთა საპარლამენტო დელეგაცია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დელეგაცია უფრო მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური, დიპლომატიური და სამეცნიერო წრეების ერთგვარ ნაკრებს წარმოადგენდა, რომელსაც კარგად ჰქონდა გათავისებული ის აზრი, რომ პასუხისმგებლობას იგი არა მარტო ქვეყნის მთავრობისა და პარლამენტის, არამედ მთელი საქართველოს წინაშე იღებდა.

პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობაში რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა. ესენი იყო:

1. ტყვეების საკითხი;
2. შეხვედრები მოკავშირეების წარმომადგენლებთან;
3. ურთიერთობა რუსეთის ყოფილ მცირე ერთა წარმომადგენლებთან.

ევროპის დიდი სახელმწიფოები ორმაგი სტანდარტით მოქმედებდნენ და ერთმანეთთან ორი საპირისპირო ტენდენციის შეთავსებას ცდილობდნენ. მაგალითად: ინგლისი ერთის მხრივ, მხარს უჭერდა და ყველანაირად ეხმარებდა მთლიანი და ერთიანი რუსეთის აღდგენისათვის მებრძოლ ძალებს, მეორეს მხრივ, ყურადღებას იჩენდა ყოფილი რუსეთის ფარგლებში (მის ტერიტორიაზე) შექმნილი ახალი პოლიტიკური ერთეულების მიმართაც.

საქართველოს დელეგაციამ კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, სადაც მისი დამოუკიდებლობის კანონზომიერებას ასაბუთებდა და შესაბამისად, ოთხთა საბჭოსაგან დამოუკიდებლობის

ოფიციალურ აღიარებას მოითხოვდა. „იმედებით და რწმენით სავსე – ნათქვამი იყო მემორანდუმში – ქართული დემოკრატია, თავის თავისუფლებას და მომავალს ანდობს მათ, ვინც მოწოდებულია გადაწყვიტოს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ბედი (5, 380).

პარიზის საზავო კონფერენციაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ასევე სხვა მცირერიცხოვან ერთა წარმომადგენლებიც. ჩვენი დელეგაცია ჩასვლისთანავე მათ დელეგაციებთან აქტიურად თანამშრომლობდა. ნიკოლოზ ჩხეიძე მათ კრებასაც კი დასწრებია. უკრაინელებს, ლიტველებს, ესტონელებს და ლატვიელებს ბალფურისათვის ინტერვიუ უთხოვიათ, მას თავის მხრივ ლოიდ ჯორჯზე მიუთითებია, ხოლო ამ უკანასკნელს კი -

პორტინგზე. იგი დათანხმებულა, რომ მათ წარმომადგენელს შეხვედროდა. თურმე მათ თხოვნაში ქართველებიც ყოფილან მოხსენიებულნი. ამის თაობაზე ნ. ჩხეიძე ქართული დელეგაციის 1919 წლის 7 მაისის სხდომაზე აცხადებდა: ახლა პატარა ერების წარმომადგენლებს წინადადება შემოაქვთ, ერთად წავიდეთო, საბაბად ავიღოთ ის ხმები, რომელიც გავრცელდა _ ანტანტა კოლჩაკის მთავრობის ცნობას აპირებსო, და საერთო ნაბიჯი გადავდგათ ჩვენი დამოუკიდებლობის მოსათხოვნათო (1, 128).

როგორც ოქმიდან ჩანს, დელეგაციას ამის თაობაზე უმსჯელია და გადაუწყევტიათ, რომ „ამ პატარა ერებთან მუდამ ერთად გამოსვლა სასურველი არ არის, ვინაიდან ერთი, რომ საქართველოს მდგომარეობა სულ სხვაა და ბევრად უფრო უკეთესი, ვიდრე მათი, მეორე - მათი საქმე ერთ პირსა აქვს ჩაბარებული, საქართველოსი კი - მეორეს, და მესამე, - საზოგადოდ საერთო გამოსვლები მისაღებია მხოლოდ იშვიათ, პრინციპულ საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად: კონფერენციაზე დაშვების საკითხი. დადგენილია, პატარა ერის წარმომადგენლებს თავაზიანი და დიპლომატიური უარი ეთქვას თავმჯდომარისაგან (1, 128-129).

1919 წლის მაისისათვის საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ნაწილი ჯერ კიდევ სტამბოლში იმყოფებოდა. პარიზში ჩა-

სული ჩვენი დელეგაციის წევრები ყველა დონეს ხმარობდნენ, რათა პარიზის ვიზა დანარჩენებსაც მიეღოთ, მაგრამ უშედეგოდ. საჭირო გახდა საქართველოს დელეგაციის გაფართოება. საქართველოს ოფიციალური დელეგაციის მუშაობაში აქტიურად ჩაერთნენ: ზ. ავალიშვილი, კ. გვარჯალაძე, ვ. ღამბაშიძე.

საინტერესოა ფაქტია, რომ ჩვენი დელეგაციის პარიზში ყოფნის პერიოდში დაფუძნებულა ორგანიზაცია „პონტევქსინი“, რომელსაც მიზნად ჰქონდა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარება იმ სახელმწიფოებთან, რომელნიც ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, რუსეთის საზღვრებზე მდებარეობენ (1, 128-129). აქ პირველ რიგში იგულისხმებოდა: პოლონეთი, უკრაინა, რუმინეთი, და ლიტვა.

„პონტევქსინის“ დამფუძნებელ კრებას ჩვენი დელეგაციიდან ივ. გობეჩია დასწრებია. კრებაზე მიუღიათ წესდება, აურჩევიათ ადმინისტრაციული კომიტეტი. შეკრების მონაწილენი ითხოვდნენ, რომ ქართველებიდან ამ საზოგადოებაში სამი კაცი შესულიყო. ერთი თავმჯდომარის თანაშემწედ (თვით ისინი გობეჩიას ასახელებდნენ) და ორიც ადმინისტრაციულ კომიტეტში.

საქართველოს დელეგაციამ გადაწყვიტა უფრო ყურადღებით გასცნობოდნენ ამ ახლად შექმნილი სახელმწიფოთაშორისი გაერთიანების წესდებას და საბოლოო გადაყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მიეღოთ.

პარიზში ჩვენ დელეგაციას არა ერთი სიძნელე შეხვდა. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი საზოგადოების დაინტერესება და საქართველოს სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის შექმნა იყო. ეს კი ჟურნალისტებთან მეტად სერიოზულ მუშაობას მოითხოვდა.

1919 წლის მაისისათვის ჩვენი დელეგაციის წევრები თვლიდნენ, რომ პარიზში მათ ვერ მოახერხეს პოლიტიკოსების და ჟურნალისტების სათანადოდ დაინტერესება. ამიტომ დადგა საკითხი, რომ მოახლოებული საქართველოს სახემწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღით, 26 მაისით ესარგებლათ და მოეწყოთ

ბანკეტი, რომელზედაც ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები უნდა მოეწვიათ, ასევე მას ჟურნალისტებიც უნდა დასწრებოდნენ (1, 129).

დელეგაციის წევრებმა ბანკეტი მართლაც დროულ და საჭირო ღონისძიებად მიიჩნიეს. ოღონდ გადაწყდა, რომ მას საიუბილეო და საზეიმო ხასიათი არ მისცემოდა. იგი კერძო ინიციატივით მოწყობილი ვახშმის სახით უნდა გამართულიყო, რომელსაც თვითონ დელეგაციის წევრებიც ისე დაესწრებოდნენ, როგორც სტუმრები. დადგინდა, რომ ამ ვახშმის მოწყობა ვარლამ ჩერქეზიშვილს მინდობოდა (1, 128).

აუცილებლად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ევროპაში, განსაკუთრებით პარიზში, მაშინ იყვნენ ის საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მხურვალედ უჭერდნენ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, მის აღიარებას და ცნობას მოითხოვდნენ. ესენი იყვნენ, პირველყოვლისა, მეორე ინტერნაციონალის მესვეურები ან ის პირები, რომლებიც საქართველოს ისტორიულ წარსულს, მის კულტურას კარგად იცნობდნენ და ამ ქვეყნის სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარებას კანონზომირად თვლიდნენ. მრავალ ასეთთა შორის მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ანდრე იბელსი - მწერალი, რომელმაც 1919 წელს პარიზში გამოსცა წიგნი „გავათავისუფლოთ საქართველო“ (6), სადაც საკითხის ღრმა ცოდნით იყო დასაბუთებული, რომ საქართველო მისი დამოუკიდებლობის აღიარებას ნამდვილად იმსახურებდა.

საქართველოს დელეგაციის წევრებს ცალკე შეხვედრები ჰქონდათ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის წარმომადგენლებთან. დელეგაციას ყველგან თავაზიანად ხვდებოდნენ, დაპირებებსაც არ იშურებდნენ, მაგრამ რეალურად საქმე წინ ვერ მიდიოდა. ევროპის დიდ ქვეყნებს პირველ რიგში „რუსეთის საკითხი“ აინტერესებდათ (2, 221). თავიდან ეს ინტერვენციის გზით საბჭოთა ხელისუფლების რაც შეიძლება სწრაფად მოგუდვა იყო; მას შემდეგ კი, რაც რუსეთი სამოქალაქო ომში გამარ-

ჯვეზული გამოვიდა და საბჭოთა რეჟიმი არც ისე დღენაკლული აღ-მოჩნდა, როგორც ამას ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები ელოდ-ნენ, მაშინ წინა პლანზე უკვე ეკონომიკურმა ინტერესებმა წამოიწია და ევროპის დიდი კაპიტალისათვის რუსეთის, როგორც საინტერე-სო ბაზრის პერსპექტივა უფრო ნათლად გამოიკვეთა.

ასეთ სიტუაციაში „ოთხთა საბჭოს“ დასტური საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე ძნელად მოსალოდნელი იყო. ამის გა-მო პარიზის კონფერენციაზე გამოიკვეთა აზრი, ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის საქარველოსათვისაც, რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს მფარველობის მიღწევის, ანუ „მანდატის“ მიღების შესახებ.

„მანდატის“ რეალური შინაარსი სათავეს 1919 წელს, აშშ პრე-ზიდენტის ვუდრო ვილსონის[1] ინიციატივით შექმნილი `ერთა ლი-

[1] ვუდრო ვილსონი - ამერიკის შეერთებული შტატების 28-ე პრეზიდენტი, 1913 წლიდან 1921 წლამდე. 1879 წელს დაამთავრა პრინსტონის უნივერსიტეტი. იგი სამართალმცოდნეობას სწავლობდა ვირჯინიის უნივერსიტეტში. ჰქონდა კერძო იურიდიული პრაქტიკა. 1886 წელს წიგნისათვის `კონგრესის მმართველობა~ ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო. მანვე გამოაქვეყნა პოპულარული ნაშრომები ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიისა და ასევე სახელმწიფო მოწყობის თაობაზე. 1912 წელს დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე მიაღწია თავისი კანდიდატურის პრეზიდენტად წამოყენებას და `ახალი თავისუფლების~ ლოზუნგით მოიპოვა კიდევაც გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში. ვილსონმა აჯობა ამერიკის ისეთ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ თეოდორ რუზველტი და უილიამ ტაფტი. ვილსონი მეორეჯერ პრეზიდენტად 1916 წელს იქნა არჩეული (მისი მომხრეების მთავარი ლოზუნგი იყო `მან ჩვენ ომისაგან გადაგვარჩინა~). პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ვილსონი ცდილობდა გამოსულიყო შუამავალად ევროპის სახელმწიფოთა შორის, ხოლო ომის დასასრულს დაასაბუთა მასში ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვა შემდგომი მშვიდობის დამყარებაში გადამწყვეტი ხმის უფლების მოპოვების მიზნით. რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ, ვილსონი მშვიდობიანი დარეგულირების გეგმით გამოვიდა. ეს იყო ე.წ. `თოთხმეტი პუნქტი~. ვილსონი იყო ვერსალის საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი ავტორი. ვუდრო ვილსონს 1919 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

გის~ წესდებიდან იღებს. ამ წესდებით, „ერთა ლიგა“ თავის პასუ-ხისმგებლობას კისრულობდა იმ ყოფილი ქვეყნების და ტერიტორი-ების მიმართ, რომლებიც ომის შედეგად მათი მმართველი ქვეყნე-ბის სუვერენიტეტისაგან თავდაღწეული აღმოჩნდნენ, მაგრამ თა-ნადროულობის მძიმე ვითარებაში დამოუკიდებელი არსებობის შე-საძლებლობა არ გააჩნდათ.

რუსეთის ყოფილი იმპერიის სამხრეთში „მანდატის“ სისტემა პირველ რიგში „სომხეთს“ შეეხებოდა, რომლის ტერიტორიის ნაწი-ლი ომამდე თურქეთის კოლონიურ მფლობელობაში იყო, და ახლა, თურქეთის ომში დამარცხების შემდეგ, იგი თვითგამორკვევისაკენ მიისწრაფვოდა. მანდატი საქართველოსაც ეხებოდა, რამდენადაც საქართველოს პოლიტიკური ბედ-იღბალი ომის პერიოდიდან რუ-სეთზე, ოსმალეთზე და გერმანიაზე იყო დამოკიდებული. საქარ-თველოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, როგორც ეს საქარ-თველოს `დამოუკიდებლობის აქტიდან~ არის ცნობილი, გეზი სრულ სუვერენიტეტზე ჰქონდათ აღებული და იგი გარედან არავ-ითარ ჩარევას არ ითვალისწინებდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში ღრმად ჩახედულ პოლიტიკოსებს აწუხებდათ ფიქრი, რა ფორმას მიიღებდა ის დასავ-ლური ორიენტაცია, რომელიც დამოუკიდებელმა საქართველომ აირჩია და საბოლოოდ თუ რომელი სახელმწიფო იკისრებდა უშუა-ლო პაუხისმგებლობას მისი მფარველობისათვის.

ომის შემდგომმა მკაცრმა საერთაშორისო ვითარებამ ქვეყანა აიძულა გადაეხედა თავისი საგარეო დოქტრინისათვის. ზემოთ უკ-ვე აღინიშნა, რომ საქართველოს დელეგაციას ქვეყნის მთავრობიდან მიღებული ჰქონდა დირექტივა - გამოუვალ სიტუაციაში დათანხმე-ბოდა მანდატს, ოღონდ მანდატორი აუცილებლად ძლიერი ევრო-პული ქვეყანა უნდა ყოფილიყო.

საქართველოს დელეგაცია პარიზში მძიმე არჩევანის წინაშე იდგა. როგორც აღინიშნა, დელეგაცია „მანდატის“ საკითხს რეზერ-ვში იტოვებდა და ჯერ კიდევ უკეთესი გამოსავლის იმედი ჰქონდა.

თუმცა მის განწყობილებაში ზოგიერთი ისეთი ნოტაც გაიჟღერებდა ხოლმე, რომელიც „მანდატის“ ბოლო კოზირად გამოყენების შესძლებლობასაც იძლეოდა. ამ მხრივ საინტერესოა ზურაბ ავალიშვილის აზრი, რომ რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველო მანდატს უნდა დათანხმებოდა (7, 273-274), მაგრამ საქმე ისაა, რომ მისთვის „მანდატის“ დაწესებაც სათუო აღმოჩნდა;

ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ თავიდან საქართველოს მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვდა და შესაბამისად „მანდატის“ საკითხს საკმაოდ სიფრთხილით ეკიდებოდა. „ოთხთა საბჭოში“ არსებული სიტუაციის რეალური გაანალიზების შემდეგ დელეგაციის ზოგიერთი წევრი მხარს უფრო მანდატის დაწესებას უჭერდა და, ჩვენის აზრით, არც ცდებოდა, რადგანაც „მანდატის“ საკითხი რომ დადებითად გადაწყვეტილიყო, საქართველო შეიძლება ასცდენოდა იმ დიდ უბედურებას, რომელიც შემდგომში მის თავზე დატრიალდა. თუმცა აქაც იძულებული ვართ გავიხსენოთ, რომ ისტორია არ ცნობს კავშირებით კილოს.

პარიზის კონფერენციაზე ჩვენი დელეგაცია სათანადო ყურადღებას უთმობდა ევროპაში მყოფი ქართველი ტყვეების პრობლემის გადაწყვეტას. 9 მაისის სხდომაზე განიხილეს ტყვეების საკითხი. ეს პრობლემა ირაკლი წერეთელს დაუყენებია.

გერმანიაში სულ 2000-მდე ქართველი ტყვე აღურიცხავთ, რომლებიც ამ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ყოფილა გაფანტული. გერმანია მზად არის ეს ტყვეები ერთად შეაგროვოს და საქართველოში გააგზავნოს. „ამ საკითხის მოგვარება საჩქაროა - აღნიშნავდა აკაკი წერეთელი - რადგანაც დადის ხმები, რომ ყველა ტყვეებს რუსეთში უპირებენ გადაგზავნასო. იქ კი - ამის შემთხვევები კიდეც ყოფილა, - ისინი ან დენიკინს უვარდებიან ხელში, ან ბოლშევიკებს და დაიღუპებიანო. ჰოლანდია გემს იძლევა, ოღონდ ძალზედ ძვირიაო. ამიტომ საელჩოს წარმომადგენლები დელეგაციას სთხოვდნენ გემის ინგლისში დაჯავშნას“. სხდომაზე აღინიშნა, რომ ვ. ღამ-

ბაშიძე, რომელიც ინგლისში იმყოფება, უკვე შეუდგა ამ პრობლემის გადაწყვეტას. იმჟამად ცოტა ხანში საფრანგეთში მყოფი ქართველი ტყვეებისა და ჯარისკაცების საკითხმა წამოიწია წინ. დელეგაცია საჭიროდ ცნობდა, რომ „მათი საქმე გერმანელი ტყვეების საქმეს დაუკავშირდეს, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ყველასი ერთად სამშობლოში გაგზავნა. ამ საკითხის გადაწყვეტა ზურაბ ავალიშვილს მიენდო“(1, 133).

პარიზის კონფერენციაზე წინ წამოიწია იდეამ კავკასიის კონფედერაციის შესახებ. აზერბაიჯანელებმა და მთიელებმა შექმნეს კიდევაც თავიანთი კომისია და ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ითხოვდნენ, რომ ზემოთხსენებულ კომისიაში თავისი წარმომადგენლები საქართველოსაც გაეგზავნა.

საქართველოს დელეგაციას იმ ეტაპზე ამ იდეის განხორციელება ნაადრევად და შეუძლებლად მიაჩნდა. ხოლო რაც შეეხება პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად საერთო მოქმედებას, ეკონომიკური შეთანხმებების დადებას და ამოქმედებას, საქართველოს მხარე ამას მეტად საშურ საქმედ მიაჩნევდა. უნდა აღნიშნოს, რომ ამ დროს ჩვენს დელეგაციაში ერთი საინტერესო აზრიც გამოიკვეთა. იგი მომავალში, კავკასიაში ადგილობრივ ნაციათა ლიგის შექმნას შეეხებოდა. „მომზადდეს, მომავლისათვის: კავკასიაში ნიადაგი ადგილობრივ ნაციათა ლიგის დასამყარებლად“ (1, 133). ჩვენი დელეგაციიდან აზერბაიჯანლებისა და მთის რესპუბლიკის კომისიაში მუშაობა ზურაბ ავალიშვილს დაავალა.

როგორც კი პარიზის კონფერენციაზე ერთა ლიგის შექმნის კონტურები გამოიკვეთა, საქართველოს დელეგაციამ კარგად გააცნობიერა თუ რას ნიშნავდა მისთვის ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება და მიზნის მისაღწევად პრაქტიკულ ზალისხმევას შეუდგა.

ზურაბ ავალიშვილმა შეადგინა მოთხოვნა „ერთა ლიგაში“ საქართველოს მიღების თაობაზე. დელეგაციის ერთ-ერთ სხდომაზე მას იგი წაუკითხავს და სხდომას დაუდგენია, „რომ ზოგიერთი შე-

ნიშვნის მერე, ეს მიმართვა კიდევ ერთხელ იქნას წაკითხული, შესწორებული და შემდეგ გადაეცეს „ნაციათა ლიგას“ (1, 130).

1920 წლის 15 ნოემბერს ქართულმა დელეგაციამ ერთა ლიგას წარუდგინა მემორანდუმი, რომლითაც ამ ორგანიზაციასი მიღება და ლიგის წესდების თანახმად მფარველობა ითხოვა, თუ იგი გარედან აგრესიის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. ერთა ლიგის ყრილობამ 1920 წლის 16 დეკემბრს განიხილა საქართველოს საკითხი. მისი არაერთი წევრის საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ ღრმა სიმპათიების მიუხედვად, კენჭისყრისას საკითხი უარყოფითად გადაწყდა: ერთა ლიგამ თავის რიგებში გაწევრიანებაზე ასევე უარი უთხრა სომხეთს და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს. ამრიგად, დამოუკიდებელი საქართველოს მცდელობა გამხდარიყო ახლად შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი, სამწუხაროდ, მარცხით დასრულდა.

1920 წლის შემოდგომაზე ევროპაში საგანგებოდ გაემგზავრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი იმ მიზნით, რომ საქართველოს იურიდიული ცნობა ევროპულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ლიდერებთან შეხვედრებით მაქსიმალურად დაეჩქარებინა.

ამ შეხვედრებით გეგეჭკორი სულაც არ დარჩა კმაყოფილი. გამოცდილი დიპლომატი გრძნობდა, რომ საქართველოს საკითხისადმი გულგრილობაში ტონის მიმცემი ინგლისის მაშინდელი მთავრობა იყო, რომლის ორიენტაცია თეთრგვარდიული ძალების მარცხის შემდეგ საბჭოთა რუსეთზე იქნა აღებული. ეს ეჭვები გამოთქმულია კიდეც ევგენი გეგეჭკორის მიერ ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილებში (8, 70).

სხვათა შორის, თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ასეთივე დუალიზმით გამოირჩეოდა საქართველოში მოღვაწე ინგლისის მისიაც. ეს იყო, ერთის მხრივ, დენიკინისადმი სიმპათიები და მისი მხარდაჭერა, მეორეს მხრივ, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მეტ-ნაკლები ანგარიშგაწევა. ინგლისელთა ასეთი ორმაგი სტან-

დარტი საქართველოში ადგილობრივ საზოგადოებრივ აზრს არ გამოპარვია და მათი ეს პოზიცია შესაბამისად უარყოფითად იყო აღქმული და შეფასებული.

პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებას წინ არა მარტო ანტანტის მესვეურთა მიერ `რუსეთის საკითხთან~ სამხრეთ კავკასიის მომავლის დაკავშირება ეღობებოდა, არამედ ინტერესთა ის შინაგანი დაპირისპირებაც, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებობდა.

ანტანტის ქვეყნები, პირველ რიგში კი ინგლისი, რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკების წარმატების ფონზე გარკვეულ შეშფოთებას გამოხატავდნენ და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის დახმარებას ლამობდნენ. ადრე ისინი ბოლშევიზმთან ბოძოლაში აქცენტს დენიკინზე აკეთებდნენ, ამიტომ მას მატერიალურადაც და მორალურადაც ეხმარებოდნენ. მას შემდეგ, რაც დენიკინი ბოლშევიკებთან ბრძოლაში დამარცხდა, მათი პოლიტიკა შეიცვალა და რუსეთის იმპერიაში შემავალ ახლად წარმოქმნილ სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების მორალურ და მატერიალურ დახმარებაში გამოიხატა. თუმცა საბოლოოდ პრაგმატიზმმა გადაწონა და ინგლისმა (მისი სახით კი მთელმა მაშინდელმა დემოკრატიულმა ევროპამ) საქართველოს დამოუკიდებლობას ზურგი აქცია.

დასავლეთის ასეთმა დამოკიდებულებამ კი ცხადყო, რომ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მაშინდელი ევროპისათვის მეორეხარისხოვანი მოვლენა იყო.

საქართველოს ხელისუფლება გრძნობდა რა ბოლშევიკების სახით მოახლოებულ დიდ საფრთხეს, პარიზის კონფერენციაზე ყოველმხრივ ცდილობდა ანტანტის ქვეყნების ლიდერთაგან კონკრეტული დახმარების მიღებას. თითქოსდა ასეთი სურვილი ორმხრივი იყო, თუმცა „ანტანტელებში“ ამ საკითხზე სრული თანხმობა მაინც არ სუფევდა. შედეგად საქართველომ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობამ, საქართველოს საკითხის რუსეთის საშინაო პრობლემად გამოცხადებამ, თვითონ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ, რუსეთზე როგორც დიდი ეკონომიკური პოტენციალის მქონე ქვეყანაზე გეზის აღებამ განაპირობა საქართველოს დიპლომატიის მარცხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.

საქართველოს ხელისუფლების ყველა შემდგომი ძალისხმევა უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. მართალია, მოგვიანებით დემოკრატიული რესპუბლიკა დე იურედაც იქნა აღიარებული, მაგრამ ამან საქართველო მოსალოდნელი განსაცდელისაგან ვეღარ იხსნა. ქვეყნის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და საბჭოთა რუსეთი მას მეტად არასასიამოვნო სიურპრიზებს უმზადებდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ავ. მენთეშაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია. ჟურნალი „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, #2.

2. საქართველოს მთავრობის 1918 წლის 21 ნოემბრის სხდომის ოქმი პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის გაგზავნის შესახებ, წიგნში - ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია, თბ. 1991.

3. ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.

4. გაზ. „შრომა“, 1919 წ., 20 თებერვალი.

5. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაწილი. თბ., 1998.

6. ანდრე იბელსი, გავათავისუფლოთ საქართველო, პროფესიონალ მწერალთა პროფკავშირული გაერთიანება, პარიზი, 1919.

7. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925.

8. ი. ტაბაღუა, ქართული დიმპლომატიის ისტორია, საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან. თბ., 1994.